ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 616

“19” დეკემბერი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ. 01010000361) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ. 01010000361) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 ნოემბრის №23.1785.1976 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იულია იორდანიშვილისთვის (პ/ნ. 01010000361) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 840 (სამი ათას რვაას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე